№ 205
შაბათი, 4 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 205
შაბათი, 4 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

ივანე დავითის ძე სულხანიშვილი და მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას შვილისას თვისისას

დავითისას

და სთხოვენ მათ მობრძანდნენ მიცვალებულის გასასვენებლად სოფელს ტირძნისს 5 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე.
(1—183—1)

ქუთაისის აბრეშუმის წარმოებისა და ფეიქრობის ამხანაგობის გამგეობა ამითი აუწყებს ამხანაგობის წევრთ, რომ, რჩევისა და გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, 5 ოქტომბერს დილის 10 საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში.

განსახილველი საგნები

1) გამგეობის მოქმედების განხილვა მას აქეთ, რაც შესდგა ამხანაგობა.

2) გამგეობის მოსაზრებანი და მოლოდინი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას წარმართული ამხანაგობის საქმე სამერმისოდ.

3) სასურველი ცვლილებანი ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლებისა.

4) არჩევა გამგეობის წევრებისა იმათ მაგიერ, რომელთაც მოისურვეს გამგეობისაგან გასვლა.

თავმჯდომარე პავლე თუმანიშვილი
(2—ნ.—2)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა ამითი აცხადებს, რომ **საზოგადოების წევრთა კრება**, რომელიც არ შესდგა 20 სექტემბერს საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო, **დანიშნულია შაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზედ** თავად აზნაურობის ბანკის შენობაში.

ამ კრებას რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, იგი კანონიერად ჩაითვლება. (2—უ.—2)

მთავრობის განკარგულებანი

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(დამტკიცებულ იქმნა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ 30 ივნისს 1897 წელს.)

(შემდეგი *)

ამხანაგობის დაარსების საგანი, იმისი უფლებანი და მოვალეობანი.

§7. ამხანაგობის ყოველივე განცხადება კანონის და ამ წესდების მიერ აღნიშნულს შემთხვევაში უნდა დაიბეჭდოს „მართებლობის მოამბეში“, ფინანსთა სამინისტროს მრეწველობისა და ვაჭრობის უწყებაში (ფინანსთა სამინისტროს შესახებ მთავრობის განკარგულებათა მაჩვენებელში), მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა უწყებაში და ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრების მიერ არჩეულ ერთს ადგილობრივ გაზეთში დადებულის წესების თანახმად.

§8. ამხანაგობა დაიწყებს მოქმედებას მაშინ, როდესაც ორჯელ მეტი წევრი ეყოლება, ვიდრე გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის არის საჭირო. ამხანაგობა, რომელიც წესდების გამოქვეყნების შემდეგ ორის წლის განმავლობაში არ დაიწყებს მოქმედებას, დაარსებულად არ იქმნება ჩათვლილი. ამასთანავე ამხანაგობა ვალდებულია გააუქმოს თავისი საქმეები, თუ შემდეგ იმის წევრთა რიცხვი იმაზედ ნაკლები იქმნება, რამდენიც დაარსებისთვის არის საჭირო.

II. ამხანაგობის წევრნი და იმათი უფლება-მოვალეობანი.

§ 9. ამხანაგობის წევრებად, საზოგადო კრების მიერ დადგენილის წესით, მიიღებიან ორივე სქესის მამულის პატრონნი, მოიჯარადრენი, გამგე მოურავნი, და საზოგადოდ ის კაცნი, აგრეთვე საზოგადოებანი და დაწესებულებანი, რომელნიც სოფლის მეურნეობას მისდევენ იმ ადგილას, სადაც ამხანაგობა იმოქმედებს. წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

შენიშვნა. ამხანაგობის წევრებად არ მიიღებიან: ა) სასწავლებლებში მოსწავლენი და ისინი, ვინც სრულ-წლოვანნი არ არიან, იმათ გარდა, ვისაც საკლასო ხარისხი აქვს; ბ) სამსახურში მყოფნი ჯარის-კაცნი და იუნკრები, და გ) ისინი, ვისაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებანი შეზღუდული აქვს.

§ 10. ყველა წევრად შემსვლელმა უნდა შეიტანოს: ა) შესასვლელი გადასახადი ამდენი და ამდენი თითო წილისა და ბ) წილის ფული... მან. წილის ფული შეიძლება ერთად ან ნაწილ-ნაწილ იქმნას შეტანილი......თვის განმავლობაში, იმ ვადამდე, რომელსაც საზოგადო კრება დანიშნავს.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 204

ახალი ამბავი

⁂ პირველ ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ, მობრძანდა საგანგებო მატარებლით ბორჯომიდგან ტფილისში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე. სადგურზედ მის უმაღლესობას დახვდნენ ტფილისის კამენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი და ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი. დიდი მთა-

ფელეტონი

უცხოთა შორის

ფინლიანდიის ქალაქი ტავასტგუსი და მის გარშემო მდებარე სოფელთათვის განმანათლებელი მნიშვნელობა.—სკოლათა სიმრავლე.—საზოგადო დაწესებულებანი.—„მუშათა საზოგადოება“.—„მუშათა საზოგადო სახლი“.—„მხსნელ-მფარველი ლაშქარი“.—„თავისუფალი ეკკლესია“.

ფინლიანდიის დასავლეთ მხარეს მდებარეობს ერთი უმნიშვნელო პატარა ქალაქი—ტავასტგუსი, რომელიც ზომით ბევრს ჩვენს დაბა-სოფელზედ მომცრო იქნება; მკვიდრთა რაოდენობა ხუთი ათასს არ აღემატება. ტავასტგუსი, როგორც ზღვის ნაპირს მოშორებული ქალაქი, თუმცა ვაჭრობა-აღებ-მიცემობით არ არის განთქმული, სამაგიეროდ, ფინლიანდიის სხვა ქალაქებსავით გარეშემო მდებარე სოფლებისათვის განათლების ბუდედ არის ცნობილ მიჩნეული. ქალაქის 14 სასწავლებლის უბრალო ჩამოთვლაც-კი საკმარისია ამ აზრის დასამტკიცებლად. ტავასტგუსში არის რვა კლასიანი სავაჟო გიმნაზია (ლიცეი), ორი საქალო გიმნაზია, სამოსწავლო სემინარია, უმაღლესი საფეიქრო სასწავლებელი, ორი უმაღლესი საერო სასწავლებელი (ქალ-ვაჟთათვის), საკვირაო სასწავლებელი მუშათათვის, დაბალი სასწავლებელი, ხასიათის განმამტკიცებელი სასწავლებელი, მოსამზადებელი, საკვირაო „თავისუფალის ეკკლესიისა“, საპყრობილის სასწავლებელი, რუსების სასწავლებელი.

გიმნაზიებსა, სემინარიასა და სხვა სკოლებში თითქმის განსაკუთრებით გლეხისა და მოქალაქეთა შვილები სწავლობენ, მათ შორის თავად აზნაურთა შვილები ცოტანი ურევიან. გიმნაზიელნი გლეხის შვილნი საზაფხულოდ თავიანთს სამშობლო სოფელს უბრუნდებიან, თავისს ოჯახთან ერთად მიწის დასამუშავებლად. მოსწავლეთა შორის წოდებრივი თანასწორობა ნამეტნავად უმაღლესს საფეიქრო სკოლაშია თვალსაჩინო, სადაც ყველა წოდების მოზრდილ ნასწავლ ქალს შეუძლიან შესვლა. იქ შეხვდებით სახელოვან მოქალაქეთა და ღარიბ დღიურ მუშათა ასულთ, უნივერსიტეტში დამთავრებულთა და სახალხო სკოლაში ნამყოფთაც, მაგრამ მათ შორის თანასწორი განწყობილება ჰსუფევს. უფროსთა და მასწავლებელთა ისეთი ურთიერთობაა, როგორც ტოლთა შორის. სწავლასა და სკოლის გარეთაც როგორც თანასწორთ, მასწავლებელნი მოსწავლეებს ისე ექცევიან. სკოლებში, ვისაც დათვალიერება, სწავლების თვალ-ყურის დევნება და ერთობ რაიმეს შეთვისება სურს, კარები ღიაა. სკოლის წიგნთ-საცავებიც საზოგადოდ ხელ-მისაწვდენია. მოსწავლეთა ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებსა და წარმოდგენებს, რომელნიც დრო გამოშვებით იმართება, თითოეულ მოქალაქესა და უცხო-ქვეყნელსაც-კი შეუძლიან დაესწროს. უმაღლესის საერო სკოლის მოსწავლე ქალ-ვაჟნი საკუთარს ყოველკვირეულ გაზეთს სცემენ (რასაკვირველია, ხელთნაწერს); ავტორები ქვეშ გაბედვით აწერენ თავიანთს სახელსა და გვარს. ეს გამოცემა თავისუფლად ტრიალებს მკვიდრთა ხელში. თეატრში მოსწავლენი და მასწავლებელნი ერთად დადიან. ადვილად მისახვედრია, რომ ყველა ამის წყალობით სკოლასა და ქალაქს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

აქაურ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში დამთავრებულთ ერთნაირი უფლება აქვსთ მინიჭებული უნივერსიტეტში შესასვლელად. სამასწავლებლო სემინარიაში მამაკაცთა და დედაკაცთათვის საერთოა სწავლება; აქედგან სოფლის მასწავლებელნი გამოდიან. ასევე საერთოა სწავლა ორისავე სქესისათვის უმაღლესს საფეიქრო სასწავლებელში. ორსავე უმაღლესს სახალხო სკოლაში სწავლება უსასყიდლოა (თუ სახეში ყოველ-თვიურ შესატან 10 პენ—ხუთ გროშს არ მივიღებთ); ქალებიცა და ვაჟებიც ერთნაირ განათლებას იღებენ. სკოლისავე წიგნთსაცავში ამ ქვეყნის ცენზორის მიერ ნება დართული ყველა გამოცემანი მოიძებნება; დავთარში ისეთი ნათარგმნი თხზულებანია ნაჩვენები რუსეთის მწერალთ ლ. ტოლსტოისა, ტურგენიევისა და სხვათა, რომელნიც არა მარტო ჩვენს საერო სასწავლებლებში, ჩვენს საშუალო სასწავლებლებშიაც-კი აღკრძალულია. სკოლების წიგნთ-საცავებიდგან უცხოთაც-კი შეუძლიანთ წიგნებით ისარგებლონ უფასოდ. ტავასტგუსში ყველა კომლზედ საკუთარი სასკოლე გადასახადია დაწესებული. როდესაც ყმაწვილი შვიდის წლისა სრულდება, უსათუოდ პირველ დაწყებით სკოლაში იწყებს სიარულს, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ. ეხლა დაბალს სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი 390. ხასიათის განმამტკიცებელს სკოლაში შესვლის ნება აქვთ იმისთანათ, რომელნიც სიზარმაცისა და სხვა ცუდის ყოფაქცევისათვის სხვა სკოლებიდგან გამოურიცხავთ; აქედგან, გამორიცხვას კი არა, „გაძევებულთა“ გასწორება-კეთილს გზაზედ დაყენებასა სცდილობენ.

⁂

ქალაქ ტავასტგუსში ამ სხვა-დასხვა გვარ სასწავლებელთა გარდა რამდენიმე წიგნთ-საცავი არსებობს და ორი გაზეთი გამოდის. ერთი კვირაში ორჯელ გამოდის და წელიწადში ოთხი აბაზი ღირს; მეორე კვირაში ორჯელ და ღირს ოთხი მარკა (ერთი მანეთი). კაცი განცვიფრებაში მოვა, იმდენი ხელის-მომწერნი ჰყავთ ამ გაზეთებს. ჩვენ, ქართველებს ამის მგზავსი რამ სიზმარშიაც არ მოგველანდება. თითოეული უბრალო მიწის მუშა, თითოეული ვაჭარი, მოსამსახურე, ბატონი—ყველანი გაზეთს იკვეთენ, ლაპარაკის დროსაც-კი გაზეთს ხელიდგან არ უშვებენ. თითოეულ სასოფლო ეკკლესიასთან დაარსებულია საგლეხო წიგნთ-საცავები, სადაც გაზეთები მრავლად მოსდით. ქალაქს გარეთ ხშირად წააწყდებით შემდეგს სურათს: ფიჩხის შეშით დატვირთული ურემი მძიმედ მოჰქრიალებს, ურმის კოფოზედ ღარიბად ჩაცმულს ქალს შეამჩნევთ, რომელიც გაზეთის კითხვაში ისეა გართული, რომ თქვენს მიახლოვებას ვერც-კი იგებს.

ტავასტგუსის კულტურა იმითაც გაიზომება, რომ ამ ქალაქში მოიძებნება: თეატრი, ტელეფონი, ტელეგრაფი, სამი სასტუმრო, მრავალგვარი მაღაზიები, ორი საავადმყოფო, ოთხი აბანო, ორი აფთიაქი, ორი სურათის გადამღები, მრავალი რამდენიმე სართულიანი ქვითკირის შენობა, ფარნებით განათებული, მოკირწყლული ქუჩები, ეტლები, და ყველა ეს იქ, სადაც მხოლოდ ხუთი ათასი მცხოვრებელია.

ასეთია ფინთა პატარა ქალაქის ცხოვრების ვითარება. ადვილად წარმოსადგენია, რომ იქაური მკვიდრი ჩვენ ქართველს სრულიად არ ემგზავსება. იქ ყველანი, წოდება-მდგომარეობის განურჩევლად, ერთმანეთს იცნობენ, უარ-ყოფილია სათამაშო ქაღალდი და ლოთობა. ურთიერთობა უმწვერვალეს ხარისხამდეა მიღწეულ-განვითარებული. მოხელე, ვაჭარი, ხელოსანიც-კი თავისუფალს დროს სხვა-და-სხვა გვარ კლუბს, ამხანაგობა-კავშირს სწირავენ. იშვიათად შეხვდებით სადმე ამდენს კმაყოფილს ხალხს, სულითა და ხორცით ჯანსაღთ, მუდამ ჟამ მხიარულ მოცინართ, მუდამ ჟამ მოლიღინე—მომღერალთ. ამბობენ-კი, ფინელნი ბუნებით დაღვრემილი ხალხია.

⁂

ტავასტგუსის თითქმის ყველა მუშა-ხელოსანთ საკუთარი „მუშათა საზოგადოება“ აქვთ შედგენილი; სა-

ვარი სადგურიდგან თავისს უავგუსტოეს ძმასთან დიდს მთავართან ნიკოლოოზ მიხეილის ძესთან წაბძანდა. საღამოს 8 საათზედ, მისი უმაღლესობა საგანგებო მატარებლით ამიერ-კავკასიის რკინის გზის „მიუსულის“ სადგურში წაბრძანდა.

⁂ 2 ოქტომბერს ბაქოდგან ტფილისში ჩამოვიდა საღამოს მატარებლით საიმპერატორო სასახლის მინისტრად ნამყოფი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვი. სადგურზედ დახვდა ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი. მისი ბრწყინვალება იმავე მატარებლით ბორჯომში წავიდა.

⁂ გავახსენებთ ტფილისის დრამატიულ საზოგადოების წევრთ, რომ დღეს, შაბათს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნულია წლიური კრება დრამატიულ საზოგადოების წევრთა. რამდენი წევრიც უნდა დაესწროს ამ კრებას, იგი კანონიერად იქნება შემდგარი და ამიტომ სასურველია, რომ წევრთ არ დაიზარონ კრებაზედ დასწრება. კრებაზედ განხილული იქმნება,სხვათა შორის, წარსულ წლების ანგარიში და აგრეთვე კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა პირობით ჰმართავს წარმოდგენებს ახალი სათეატრო ამხანაგობა.

⁂ ამ დღეებში ტფილისში მოვიდა მთელი დასი ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხებისა. რადგანაც წინადაც გადმოსახლებულთ არა ერთხელ შემოუტანიათ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, ამიტომ პირველ ოქტომბერს ქალაქის სამკურნალოს ინსპექტორმა ექიმმა სტეფანოვმა, საბჭოს ექიმის გულულიანცთან ერთად გასინჯა თვით გადმოსახლებულნი და დაათვალიერა ის სადგომები, სადაც ამ ჟამად ისინი სცხოვრობენ. გადმოსახლებულნი, რიცხვით 300 კაცი, მე-7 ნაწილში ნარიმანოვისა და მელიქ-ბეგლიაროვის სახლებში სცხოვრობენ. თითქმის ყველანი ტიტველ-შიშველნი და ავადმყოფნი არიან. არც ერთს მათგანს, კონკებისა და ძონძების გარდა, ლოგინი არა აქვს. რადგანაც სადგომი მეტად ვიწროა და ამოდენა ხალხს არ ითავსებს, ზოგი მათგანი გარეთ ეზოში წევს. საკვებად ამ ჟამად იმათ ავლაბრის უფასო სასადილოდგან ეძლევათ თითოს 1 გირვ. პური და $^1/_2$ გირ. ხორცი. საშინლადაა მათში გავრცელებული ციებ-ცხელება. ამ ჟამად 25 კაცია ამ ავადმყოფობით ავად. რამდენიმე კაცი კიდეც გარდაიცვალა. ექიმის სტეფანოვის აზრით ავადმყოფთა მკურნალობა, ასეთის პირობებისა გამო, შეუძლებელია. 2 ოქტომბერს გადმოსახლებულთა სადგომები ხელ-მეორედ დაათვალიერეს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა სტეფანოვმა, ექიმმა გულულიანცმა და გამგეობის წევრთ ხ. ა. ვერმიშევმა და თავ. ა. ა. არღუთინსკი—დოლგორუკიმ.

ყველა ამის გამო გუშინ, 3 ოქტომბერს, ექ. სტეფანოვმა ქალაქის გამგეობას, მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც ბ-ნი ექიმი საჭიროდ სცნობს ქალაქმა გაჭირვებულთ დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინოს და ამით ერთის მხრით გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა და მეორეს მხრით ააცდინოს ქალაქს სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომელიც შეიძლება მათ გაავრცელონ, თუ მათი ყოფა-ცხოვრება არ გაუმჯობესდება. სტეფანოვის აზრით, უნდა მიეცეთ ამ გადმოსახლებულ სომხებს თბილი ტანისამოსი, საცვლები, უნდა გადაიყვანონ ისინი სხვა დიდ ბუხრებით, თბილის წყლით, საერთოდ ჰიგიენურად მოწყობილ შენობაში და სხვანი. აგრეთვე უნდა მიეცეს ყველას ჩაი, შაქარი, პური ერთს გირვანქაზედ მეტი და სხვა. ავადმყოფთათვისაც ცალკე შენობა უნდა მოეწყოს, სადაც მათი მოვლა-პატრონობა შეიძლებათ.

⁂ ამ ახლო ხანში ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს გააკეთებინოს 14 საქონლის ვაგონი განსაკუთრებულ ხილეულობისა და მწვანილეულობის გადატან-გადმოსატანად.

⁂ პირველ ოქტომბერს ეგრედ წოდებულ „დვარცოვი ნომრების“ დასს კერძო მოლაპარაკება ჰქონია, რომელზედაც ქალაქის თავის კანდიდადატ დასახელებულმა კ. მ. ალიხანოვმა უარი განაცხადა თურმე ამ თანამდებობაზედ ხმოსანის გ. გ. ევანგულოვის სასარგებლოდ. ამავე კრებაზედ ქალაქის თავის კანდიდატად ზოგს გ. გ. ევანგულოვი დაუსახელებია, ხოლო ზოგს თავ. გ. მ. თუმანოვი.

⁂ 6 ოქტომბერს საბალოსნო სკოლაში მოხდება მოსწავლეების გამოცდა მეაბრეშუმეობაში.

⁂ ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწემ ბ-ნმა მაჰავარიანმა, რომელიც მანგლისში და იმის ახლომახლო მდებარე სოფლებში იქმნა გაგზავნილი კეთროვანების წინაალმდეგ რაიმე ზომების მისაღებად, აღმოაჩინა, რომ ამ საზარელის სენით ორნი ძმანი ნამტრევანები ყოფილან ავად. ერთი მათგანი ამ ჟამად ტფილისის მიხეილის საავადმყოფოშია.

⁂ ქალაქის გამგეობამ მიჰმართა იმ კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ტყეებისა და ბაღებისა თვალყურის დევნა აქვს მინდობილი და სთხოვა, თქვენი აზრი წარმოგვიდგინეთ ავლაბრის მოედანზედ პატარა ბაღის გაშენების შესახებაო.

⁂ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვსევოლოდ მილლერი ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორად იქმნა დანიშნული.

⁂ როგორც გაზ. „ხ. მიმ.“ იუწყება ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი თავ. ი. რ. თარხნიშვილი ტფილისში აღარ ჩამოვა, იგი საზღვარგარეთიდგან პირდაპირ პეტერბურგში დაბრუნდება და იქ უნივერსიტეტში ლექციების კითხვას შეუდგება.

⁂ გაზ. „კავ. სოფ. მეურ.“ ნამდვილის წყაროდგან შეუტყვია, რომ თავ. ზ. გ. ერისთავს აზრადა აქვს „ოძისის“ მამული ხაზინას, სახელდობრ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადასცეს სამეურნეო სკოლისა, საცდელ სადგურისა და სხვ. დასაარსებლად.

⁂ გრაკალი. 2 ოქტომბერს, ღამის 11 საათზედ და 15 წუთზედ, საქონლის მატარებელი № 72 სადგურზედ იყო გაჩერებული და მეორე საქონსლის მატარებელს № 74 მოელოდნენ, რადგანაც ამ მატარებელს იმავე ლიანდაგზედ უნდა გამოევლო. „დისკა“ დაკეტილი იყო, მემანქანემ ეს ვერ შენიშნა და პირდაპირ შემოვიდა სადგურზედ, დაეჯახა მატარებელს № 72 და სამი ვაგონი დაამტვრა. კონდუქტორებს არა დაშავებიათ-რა. ამის გამო მოძრაობა მატარებლებისა ექვს საათამდე იყო შეჩერებული და სამგზავრო მატარებლებმა დაიგვიანეს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ.

2 ოქტომბერი

ამ კრებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. აქ მკურნალმა გურკომ წაიკითხა მოხსენება ციებ-ცხელების შესახებ, რომელიც არის თურმე ამ ჟამად ტფილისში.

მკურნალების სიტყვითაო, სთქვა ბ-ნმა გურკომ: ტფილისში ციება იცის, მაგრამ ისეთი ძლიერი-კი არა, როგორც ზოგიერთ ადგილებში და ამიტომ ხალხი ადვილად იტანს ამ ავადმყოფობას. მაგრამ ის ციება-კი, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია და რომელსაც მკურნალები პერნიციოზის ციებას უწოდებენ, ბ-ნის გურკოს სიტყვით, ძლიერ საშიშია. ამ ციებით შეპყრობილი ავადმყოფი პირველად მიუყვანიათ მიხეილის სამკურნალოში 2 აგვისტოს. მას აქეთ ამავე სამკურნალოში მიუყვანიათ 27 კაცი, ამ გვარ ციებით ავადმყოფი და მათ შორის 17 გარდაცვლილა. ეს ციებ-ცხელება ისე წააგავს თურმე სახადს, რომ ერთი სენი მეორისაგან ძნელად განირჩევა. ავადმყოფს ძლიერ დიდს სიცხეს აძლევს და გონება ეკარგება. მკურნალებმა გასჭრეს გარდაცვლილთა გვამი და დარ-

ზოგადოების წევრად მიიღება ყველა, ვინც-კი, სქესისა და ეროვნების გაურჩევლად, 18 წელს ასცილდება. ასეთი საზოგადოება ფინლიანდიის ყველა ქალაქში არსებობს. საზოგადოების დანიშნულებაა: მუშათა ყოფა-მდგომარეობა გააუმჯობესოს, მათ შორის განათლება გაავრცელოს, 10—8 საათიანი სამუშაო დღე დააწესოს, დედაკაცთა და მამაკაცთა საყოველთაო თანასწორობა დაამკვიდროს. ტავასტგუსში ეხლა ამ საზოგადოების წყალობით 200-ზედ მეტი მუშა შეკავშირ-შეამხანაგებულა. საზოგადოებას სათავეში ორი კომისია უდგია: ერთი საზოგადოების საქმეთა მოსავლელ - საწარმოებლად— ხუთის წევრისაგან შემდგარი, მეორე მუშათათვის გასართობების *) გამმართავი—ამაში წევრთა რიცხვი განსაზღვრული არ არის. ორსავე კომისიაში დედაკაცთაც შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა. ორსავე კომისიაში ამხანაგობის პრეზიდენტს ხმა აქვს და იგივეა საზოგადო კრებებზედ თავმჯდომარე. საზოგადოების წევრნი წელიწადში სამ მარკას—თხუთმეტ შაურს—იხდიან, გარდა ამისა, ერთხანად ახლად შემოსულს ერთი მარკა—აბაზ ნახევარ შაურიც შეაქვს. საზოგადოებას დიდი სახლი აქვს დაქირავებული, საკვირაო სკოლას ინახავს, თავისი სასადილო ოთახი აქვს, წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ამ წელს გასართობების გამმართავი კომისია დროგამოშვებით კონცერტებსა და სალიტერატურო საღამოებსა ჰმართავდა, საშობაოდ კი ქალაქის ღარიბ ყმაწვილთათვის ჩიჩილაკი გაჰმართა, მუსიკა-სიმღერით, წარმოდგენა სათამაშოებითა და საჩუქრებით; სხვათა შორის ღარიბ ქვრივთაც-კი დაურიგეს ფულად საჩუქრები.

⁂

ტავასტგუსის დაწესებულებათა შორის განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია „მუშათა საერთო სახლი“. ამ ამხანაგობის წესდება სენატმა უკვე დაამტკიცა საყოველთაო გასავრცელებლად. თუმცა მოკლე ხანია, რაც ეს ამხანაგობა დაწესდა, მაგრამ სხვა-და-სხვა ქალაქში მრავალი მიმბაძველი აღმოსჩენია. ეს „მუშათა საერთო სახლი“ წიგნების მკაზმავ ქარხნის ოსტატ იოკის წინადადებით 1892 წელს არის დაარსებული. პირველად იოკმა ხუთს მუშას ჩააგონა ამ აზრის სარგებლობა. შემდეგ თავისი გეგმა ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადა, რომლითაც მსურველთ იწვევდა შემოერთებოდნენ; იოკი ამტკიცებდა, საერთო სახლის ასაშენებლად საჭიროა ამხანაგობამ სახელმწიფოსაგან იაფი და გრძელ-ვადიანი სესხი აიღოს და ამ რიგად აშენებულს სახლში თითოეული მუშა თავისს დროზე თავისის ოთახის მესაკუთრე გახდება, საიდგანაც აღარავის შეეძლება იმისი გაგდებაო. შემდეგ 18 კაცისაგან შესდგა ამხანაგობა (ერთი ვაჭარი, ორი ხარაზი, დურგალი, თერძი, ყასაბი, ფოსტალიონი, მეხანიკოსი, მკაზმავი, მეეტლე და სხვანი). პირველად კერძო ოთახში შეიკრიბნენ; შენობის დასაწყებად თითოეულმა 350 მარკა (87 მ. 50 კ.) გამოიღო; წესდება-გეგმის შედგენის შემდეგ ამხანაგობამ სენატს თხოვნა მიართვა, რომლითაც 60 ათას მარკასა სთხოვდნენ მთავრობას სესხად. სენატი ფულის მიცემას შემდეგის პირობით დასთანხმდა: „ამხანაგობამ კერძო კაცთაგან უნდა იშოვოს 30 ათასი მარკა (7500 მან.), კერძო ბანკიდგან ისესხოს, სენატის თავმდებობით, 25 ათასი მარკა, შენობის დამთავრების შემდეგ, ბანკისა და კერძო ფულის პატრონთა ვალის მოსაშორებლად, სენატმა უნდა მისცეს ფული ამხანაგობას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს მოვალე ხდება. ეს ფული არ ეყოთ; დანარჩენი, შენობის აგება სულ 73 ათასი მარკა (18,250 მან.) დაჯდა, ერთად-ერთ შეძლებულ წევრ ლინკვისტისაგან ისესხეს. შენობის აგების საქმეს ქალაქის საუკეთესო ხუროთ-მოძღვარი განაგებდა უსასყიდლოდ.

ეს მუშათა საერთო სახლი ოთხის დიდ ცალ-სართულიან შენობისაგან შესდგება. სახლში 19 ოთახია ეზოს მხრისაკენ თავიანთის დერეფნებით. ეზოს შუაგულ ალაგას, საკუთარს ქვითკირის შენობაში, ორი პურის გამოსაცხობი თორნეა მოთავსებული, აქვე მოსჩანს ხის ფარდული და საჯინიბე მეეტლეს ცხენისათვის. სახლი ამხანაგობის სახელზეა ჩაწერილი, მაგრამ თითოეული წევრი თავისის ოთახის ბატონ-პატრონია; ოთახის მემკვიდრეობით გადაცემა-გაყიდვა შეიძლება. მხოლოდ მეცხრამეტე ოთახი ამხანაგობის კუთვნილებაა და ქირით იძლევა. როდესაც შენობა დასრულდა, დავიდარაბის ასაცილებლად ამხანაგობამ საჯარო ვაჭრობა დაჰნიშნა იმის გამოსარკვევად, თუ ვის რომელი ოთახი ამოერჩია: ვინც სახელმწიფო ვალის გასასტუმრებლად მეტს გამოიღებდა, პირველად სახლს ის ირჩევდა. სენატმა ამხანაგობას შეღავათიანის სარგებლით ასესხა ფული, ამისათვის ამხანაგობას იმედი აქვს 20 წელიწადში ვალი მთლად მოიშოროს. თითოეულ ოთახის პატრონს ამხანაგობის კასის შემწეობით ყოველს სამს თვეზედ 50 მარკა (12 მ. 50 კ.) შეაქვს სახელმწიფო ბანკში, რაც ერთის ოთახის ჩვეულებრივ ქირას არ აღემატება; ამას გარდა,თითოეული ამავე დროს სახლის კეთილ-განწყობილებისათვის 8 მარკას იხდის. თუ რომელსამე ავადმყოფობასა, სამუშაოს უქონლობასა და ან სხვა მიზეზისა გამო დანიშნულის შესატან ფულის გადახდა ვადაზედ არ შეუძლიან, ამის მაგიერ ეს ფული ამხანაგობას შეაქვს,მხოლოდ შემდეგ იგი ამ ფულს ამხანაგობას სარგებლით უბრუნებს. თუ რომელმამე მთელის წლის განმავლობაში არ გადაიხადა ფული, ამხანაგობის გადაწყვეტილებით იგი თავისს უფლებასა ჰკარგავს და იმისი ოთახი შეიძლება საჯაროდ გაიყიდოს.

ყოველს წელს მარიამობის თვეში ამხანაგობის წევრნი ერთს დიდ დარბაზში იკრიბებიან და ხმის უმეტესობით სახლის გამგებელსა და ხუთის კაცისაგან შემდგარს საკუთარს საბჭოს (წლიურს) ირჩევენ. გამგებლის მოვალეობაა წესიერება-სიფაქიზე დაიცვას, მეცხრამეტე ოთახი გააქირავოს; ოთახის პატრონთაგან ვალ-სარგებლის მოსაშორებლად ფული მოჰკრიბოს; გამგესავე ხელშია ამხანაგობის კასსა, დამოუკიდებლად ჰხარჯავს ფულს სახლის კეთილად მოწყობისათვის. არა-ჩვეულებრივ შემთხვევის დროს საბჭო საზოგადო კრებას იწვევს. ამ კრებებზედ თითოეულ წევრს, თუნდაც იგი ორის ოთახის პატრონი იყოს, თითო ხმა აქვს, და კრებაც კანონიერად ითვლება, თუ ოთახის პატრონთა საერთო რიცხვის $^2/_3$ მაინც დაესწრო. თუ რომელსამე ოთახის პატრონს რაიმე მიზეზით კრებაზედ დასწრება არ შეუძლიან, თავისი ხმა ნება აქვს რწმუნების ქაღალდით სხვა წევრს გადასცეს. წლიურს კრებაზედ სახლის გამგებელი მოვალეა ყველა ხარჯის ანგარიში წარმოადგინოს, რომლის სარევიზიოდ ორის წევრისაგან შემდგარ კომისიას ირჩევენ; ამავე ორმა წევრმა უნდა განიხილოს საქმე, თუ უკმაყოფილოა ვინმე გამგესი.

ოთახის შიგნითა კედლების შეკეთება ოთახის პატრონის ვალია, მხოლოდ მთელის შენობისა-კი—ამხანაგობისა. თუ ვინმე თავისის ოთახის გაყიდვა მოისურვა, ეს თავისი სურვილი სა-

---

*) ამ კომისიას აზრადა აქვს ყოველგვარ გონივრულ გასართობის გამართვის საშუალებით აღამაღლოს როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი მდგომარეობა მუშათა, გაამრავალკეცოს იმათი მოთხოვნილება, ყველა იმათი თავისუფალი დრო საზოგადოებრივ და კულტურულ ინტერესებით აღავსოს. ამ კომისიის მიერ გამართულ გასართობს, საქველ-მოქმედო ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ხარჯს უნდა ჰფარავდეს.

წმუნდნენ, რომ ზემოხსენებულ სენითა ყოფილან შეპყრობილნი.

ბ-ნის გურკოს აზრით ამ გვარი საშიში ციება უფრო მეტად აღმოჩენილა ვერაზედა და დიდუბეში. უფრო ბევრი ავადმყოფი აღმოჩენილა ყარსის რკინის გზაზედ მომუშავეთა შორის.

◆◆

წერილი სიღნაღიდგან.

ვისაც გინდათ ჰკითხეთ: ვის უფრო ძალიან უყვარს თვის ოცი, თუ არ გიპასუხონ, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებსაო. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ დღეს უნდა აიღონ ის სანატრელი ფული, რის გულისთვისაც მთელი თვე იშრომეს და ითმინეს ყოველ ნაირი გაჭირვება. ყველგან ასეა, ჩვენში-კი არა. ჩვენის ქალაქის მოხელეთა ცხოვრების ჩარხი სულ უკუღმა დაატრიალეს აქაურმა ვაჭრებმა. იმ დროს, როდესაც აქაური მოხელეობა წყევლა-კრულვით იხსენიებენ თვის ოცს, ვაჭრები კი სიხარულით მოელიან და ღმერთს ევედრებიან, შე დალოცვილო, ღმერთო, თვეში ორჯელ უნდა მოიყვანო ოცი, რომ აბა მადლი იმასა აქვსო. დიახ ისეთ ნაირადა ჰყავთ დამონავებული და ხელში დაჭერილი მოხელეობა, რომ ამათის შიშით ხელს ვერ გასძრავენ. მაგრად ჩაუვლიათ კლანჭები და ისე სწოვენ სისხლს, როგორც ფუტკარი თაფლს ზამთრობით და წურბელა არამს სისხლს.

სიღნაღის მოხელეობა ჰხარჯავს თვიდამ თვემდე საჭირო სანოვაგეს ნისიად, ვაჭარიც ოცის მომლოდინე სიხარულით აძლევს და აჭდევს კისერზედ დავთრის ფურცლებით ვინ უწყის რას და რამდენს. დადგება თუ არა ეს დღე, მოდის ვაჭარი მოვალეებთან და ნელ-ნელა ივსებს ჯიბეს ფულით. თუ ვინიცობაა რომელიმე მოვალე ახირდა და არ მისცა, თითონაც სთანხმდება,—კარგი, იყოს და სარგებელი მაძლიეო. ზოგ მოხელესთან პირდაპირ დაწესებულებაში ჰგზავნიან ბიჭებს ნუსხით, რომ ამდენია თქვენზედ და თუ შეიძლება გამოგვიგზავნეთო. მაგალითებრ, წარსულის თვის ოცში ორჯელ მომიხდა შესვლა ხაზინაში და ორჯელვე ფეშტამალ-აფარებული ბიჭები დამხვდნენ შიგ. ჯერ ვიფიქრე, გერბის ქაღალდის საყიდლად იქნებიან მოსულნი-მეთქი, მაგრამ რაკი შევატყე, რომ არც ერთი მათგანი არც-კი ჰფიქრობდა რისამე ყიდვასა ვკითხე ერთს მათგანს, რას აკეთებ აქა-მეთქი და მიპასუხა, რომ დღეს ოცია და ნისიების ფული უნდა მივიღოთო. გამოვედ გარეთ, გამოვიარე პატარა გზა და ახლა თვით ღიპოსნები შემხვდნენ, თუ ბიჭებმა ვერა გააწყეს-რა,აქ არ გამოივლიან, სად წაგვივლენო. მოხელენიც იძულებულნი არიან დააკმაყოფილონ ამ ასასების სურვილი და ჩაუჩხრიალონ მთელის თვის ნაშრომ ნაღვაწი. მეტი რა გზა აქვთ, ვისგან-ღა უნდა ჰზიდონ სანოვაგე, თუ არა ისევ ამათგან მამა-სისხლად. კარგი იქნება, გადმოიხედოს მოწყალე თვალით სიღნაღისაკენ ტფილისის სავაჭრო „შუამავალმა‘‘ და დააარსოს აქ თვისი განყოფილება, რადგან გავჯერდით ამოდენა ფასის ძლევით უხეიროსა და წამხდარს სავაჭრო-სანოვაგეში.

რაზმაძე

◆◆

რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერო განათლების სამინისტროს თანხმობით, სასწავლებლების ხელ-მოკლე მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ახალ ნორმალურ წესდების შემუშავებას შესდგომია. ამ პროექტის ძალით, შეცვლილ იქმნება წეს-რიგი ამ საზოგადოებების დაარსებისა. დღემდის ამისთანა საზოგადოების დაარსების ნება-რთვა უნდა აეღოთ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან და ამ პროექტით კი ადგილობრივ გუბერნატორებს შეუძლიანთ ასეთის საზოგადოების დაარსების ნება-რთვა მისცენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან მორიგებისამებრ.

— საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოებას მიუმართავს თავად-აზნაურთა წინამძღოლებისათვის და უთხოვნია, რომ გამოგვიგზავნეთ ცნობები თავად-აზნაურთა იმ საგვარეულო საბუთების შესახებ, რომელთაც შინაარსით რაიმე დამოკიდებულება აქვთ წარსულსა და ამ საუკუნის პირველი წლების ისტორიასთანაო.

— რკინის გზების მემანქანეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამსახურის დროს გზათა სამინისტროს განუზრახავს შემოიღოს მემანქანეთათვის დასასხდომი ადგილები და გაუკეთოს კარებები ორთქლ-მავალს.

— საერო განათლების სამინისტროს, რკინის გზათა საქმეების დეპარტამენტის შუამდგომლობით, ბრძანება დაუგზავნია სასწავლებლების მთავრობისათვის, რომ მოსწავლეთა რკინის გზის საშეღავათო მოწმობების მიცემის დროს იხელმძღვანელეთ რკინის გზის მმართველობათა მიერ იმ ოფიციალურად მიღებულის მაჩვენებელით, რომელშიაც წესიერადაა აღნიშნული რკინის გზათა სადგურებს შუა მანძილის რაოდენობაო.

— რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ოდესსის განყოფილებას შუამდგომლობა დაუწყია მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით 1898 წელს გამოფენა გავმართოთ ბაღოსნობისა და სამხრეთ-რუსეთის ბაღის ხელის მცოდნეთა კრება ქ. ოდესაშიო.

— რიგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტთან საქიმიო ლაბორატორიის გასამართავად ხაზინას 400,000 მან. გადაუდვია.

◆◆

უცხოეთი

—

ავსტრია. ავსტრიის პარლამენტს პარლამენტობა აღარ ეტყობა. ხუთი თუ ექვსი კრება ჰქონდა პარლამენტს და არც ერთს მათგანს წესიერად და უაურ-ზაუროდ არ ჩაუვლია. დეპუტატები ისე აგინებენ და ისეთის სიტყვით იხსენიებენ ერთმანეთს, რომ პარლამენტში-კი არა, ქუჩაშიაც არ შეიძლება მათი წარმოთქმა. უმთავრესი ბრალი, რასაკვირველია, გერმანელთა საერო დასს ედება, რომელმ ც წინადვე გადასწყვიტა, ყოველი ღონე იღონოს, რომ პარლამენტის საქმეთა წესიერ მსვლელობას ხელი შეუშალოს. მართლაც-და ამ დასის მომხრენი არავითარს წესსა და რიგს არ აქცევენ ყურადღებას და რაც უნდათ, იმასა ლაპარაკობენ. ზოგი, რაკი ადგება, სამს, ოთხს და ხუთს საათს ლაპარაკობს, რომ პარლამენტს რომელისამე საგნის გადაწყვეტის, ან განხილვის დრო აღარ მისცეს. ეს კიდევ არაფერი. მაგარი ის არის, რომ ამ ბოლოს დროს საქმე მუშტი-კრივზედაც მივიდა და ლამის დეპუტატებმა პარლამენტის, სახელმწიფოს უმთავრეს დაწესებულების, შენობაში ერთმანეთს ცხვირ პირი ჩაამტვრიონ. წარსულს კრებაზედ, მაგალითად, ასეთი ამბავი მოხდა: როდესაც დეპუტატი გრეგორიჩი სიტყვას ამბობდა, მეორე დეპუტატი, გერმანელთა საეროვნო დასის მომხრე, ირო წამოდგა და გრეგორიჩის დედ-მამა ცუდის სიტყვებით მოიხსენია. გრეგორიჩმა ამის პასუხად მშიშარა, მეჭორე და მკვდარი უწოდა. იროს ისე ეწყინა ეს სიტყვები, რომ გაჯავრებული თავის ადგილიდგან წამოხტა, გრეგორიჩს მიჰვარდა, მუშტი დაუქნია და დაუყვირა: „ამ საათში ყურის ძირში დაგადებო!“ გრეგორიჩიც არ ჩამორჩა და ის იყო გაწიწმატებული დეპუტატები უნდა დასძგერებოდნენ ერთმანეთს, რომ სხვებმა სტაცეს ხელი და გააშველეს.

—

აბაშეთი და ოსმალეთი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ აბაშეთის მეფემ მენელიკმა ლეონტიევი გაჰგზავნა კონსტანტინეპოლში ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და აბაშეთსა და ოსმალეთს შორის მეგობრულის კავშირის დასამყარებლად. ეხლა პარიჟის გაზეთი „La Polit. Colonial“ იუწყება, რომ ბ-ნ ლეონტიევსა,

---

მის თვის წინადვე საბჭოს უნდა შეატყობინოს, რომელიც ამ საგანს კრებას წარუდგენს. თუ რომელიმე ოთახის პატრონისა დანარჩენნი წევრნი უკმაყოფილონი არიან, ამათ შეუძლიანთ საზოგადო კრება მოახდინონ და ასეთის პირის განძევების საქმე ხმის უმეტესობით გადასწყვიტონ.

ასეთია „მუშათა საერთო სახლი“, რომელსაც არა მარტო ტავასტგუსის მუშათ მიაქციეს ყურადღება ჭ ჰსურთ კიდეც რამდენიმე ამის მგზავსი სახლი ააშენონ, არამედ მთელის ფინლიანდიის მუშათ. ამ მოკლე ხანში ტამერფორსისა და აბოს მუშათ იოკს თხოვნით მიმართეს ამხანაგობის, სენატის მიერ დამტკიცებული, დაბეჭდილი წესდება გაუგზავნოს. ტამერფორსში ამისთანა სახლის აშენების მოსურნეთა რიცხვი 50 მისულა.

ტავასტგუსის ამ ამხანაგობის წევრთა შორის აქამდის არავითარი უკმაყოფილება არა ყოფილა. ერთმა ოთახის პატრონმა თავისი ოთახი გაჰყიდა და დანახარჯი მთლად დააბრუნა, მეორე ავადმყოფობისა გამო მთელს წელს ფულს არ იხდიდა, ამისი ოთახი ამხანაგობამ გააქირავა, მაგრამ როდესაც განიკურნა, ოთახი უკანვე დაუბრუნეს.

⁂

ფინლიანდიაში სხვათა შორის ძალიან გავრცელებულია „მხსნელ-მფარველი ლაშქარი“ და „თავისუფალი ეკკლესია“.

ფინლიანდიის „მხსნელ-მფარველი ლაშქარი“, სპასალარ ქალ გარტმანის მოთავეობით, ინგლისის ამისთანავე „ლაშქრის“ შტოა და ექვემდებარება გენერალ ბუტს; ფინლიანდიის „ლაშქარი“ ჯარის კაცთ-პორუჩიკ-კაპიტანთაგან შემდგარ განცალკევებულ დასს წარმოადგენს. „ლაშქარს“ თითქმის ყველა ქალაქში საკუთარი ოთახები აქვს. ლაშქარში ჯარის კაცად ჩაწერა ყველა მსურველს შეუძლიან სამოქმედო ასპარეზისა და საცხოვრებელ ადგილის შეუცვლელად, მხოლოდ საჭიროა ლოცვის წარმოთქმა და მშვიდად ცხოვრების აღთქმა. ჩინებს გარტმანი არიგებს, რომელიც ბუტსისაგან არის დანიშნული. ლაშქრის წევრთ ორ გვარი მოქმედება-მოვალეობა აწევთ კისერზედ: ქალაქის მცხოვრებთათვის საკუთარის სარწმუნოებრივ მაგვარ მსახურების გამართვა და ქველმოქმედება. ჯარის-კაცნი სამიკიტნოებსა, საზოგადო სახლებსა და საავადმყოფოებში დადიან ხალხის ნუგეშინის საცემლად, ქუჩებში მწოლარე მთვრალ უგონონი თავიანთ სადგომში მიჰყავთ გამოფხიზლებამდეს, უბინაო ყმაწვილთ ყოველგვარ შემწეობა-დახმარებას უჩენენ, ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ხალხს იმას ჩასჩიჩინებენ, ფხიზელი, პატიოსანი ცხოვრება დაიწყონ, ზრდილობა-სიყვარულით მოექცნენ ყველას, სარწმუნოებისა და მდგომარეობას განურჩევლად. „ლაშქარი“ განსაკუთრებით შეწირულებით ინახება და თავისი საკუთარი გაზეთი აქვს დაარსებული.

„მხსნელ-მფარველ ლაშქრის“ მსახურება გალობისა და სახარების კითხვა-ქადაგებისაგან შესდგება; ამავე დროს შეწირულებანი იკრიბება. მსახურების დროს ყველა იქ დამსწრენი თანასწორნი არიან. „ლაშქრის“ წევრთა ქადაგებამა და კეთილის ცხოვრების მაგალითებმა ბევრს ტავასტგუსელ მოურჯულებელ ლოთებად ცნობილ ადამიანისათვის გამაკეთილშობილებელი გავლენა იქონია, ბევრი ცდომილი ადამიანი კეთილ გზაზედ დააყენა. ჯერ არ გაგონილა, რომ ერთს ჯარის-კაცს მაინც თავისის აღთქმისთვის ეღალატნოს და როდისმე ცუდად მოქცეულიყოს. „განძევებულთაც“-კი შეუძლიანთ მეგობრულად გაწვდილს ხელს მიეყრდნონ. ლაშქრის მსახურება ტავასტგუსში ყოველდღე სწარმოებს საღამოობით, სადა დღეს 8—10 საათამდის, დღესასწაულ დღეს 6 დგან 10 საათამდის.

„ლაშქრის“ გარდა თითქმის ყველა ფინლიანდიის ქალაქში ესრედ წოდებული „თავისუფალ ეკკლესიის“ განყოფილებანი არსებობს. „თავისუფალი ეკკლესია“ თავისის დანიშნულებით იგივეა, რაც „ლაშქარი“, მაგრამ თავისუფალი ეკკლესია უფრო დარბაისელის ხასიათისაა, აქ ყმაწვილურ გარეგნობა-მორთულობას ვერა ჰნახავთ; ამის წევრნი არავითარ სახელ-წოდებას არ ატარებენ, ნამეტნავად ხარისხ ფორმას; თავისუფალი ეკკლესია თითქმის მდიდარის წოდებისა და ინტელიგენციისაგან შესდგება. „თავისუფალი ეკკლესია“ „ლაშქარზე“ მდიდარია, ჩინეთსა, იაპონიასა და აფრიკაში საქადაგებლად საკუთარ მისიონერებს ინახავს. თავისუფალ ეკკლესიას ყველა ქალაქებში თავისი საკუთარი სახლი აქვს და თავისი საკუთარი ყოველ კვირეული გაზეთი.

ტავასტგუსის თავისუფალ ეკკლესიის განყოფილება ქალაქის წიგნების საკაზმავ ერთ ფართო და სადა ოთახშია მოთავსებული. შუაგულ ალაგას თეთრ-სუფრა გადაფარებული უბრალო მაგიდა სდგას; მაგიდაზედ სახარება და კარანდაში სძევს; გვერდით სკამი უდგას. მთელი ოთახი ორის ჩვეულებრივის კედლისა და ერთის ჭერიდგან ჩამოსაშვებ ლამპრებით ნათდება. ოთახს ორი ფანჯარა აქვს; ფანჯრის ახლო კუთხეში ფისგარმონი არის მოთავსებული. ოთახის დანარჩენი ნაწილი ათ-ათის კაცის მოსათავსებ-სასხდომ ათ რიგს სკამს უჭირავს. ამ ოთახში 150 კაცზედ არა ნაკლები იკრიბება და უმთავრესად დედა-კაცები, ყმაწვილები და ინტელიგენცია; მამა-კაცთ ღარიბი ჩაცმულობა ეტყობათ, თითოეულს ხელში ლოცვანი და სახარება უჭირავს. მაგიდას ახლოს მაღალის ტანისა, გამხდარ-გამხდარი, შავს პიჯაკსა, და გახამებულ პერანგში გამოწყობილი კაცი სდგას; იმისი შუბლ-გადაშლილი, გაფითრებული და ქანც-გამოლეული პირი-სახე გაცხოველებულა, ცხარეთა და დარწმუნებით ლაპარაკობს, სახარება უჭირავს ხელში და ალაგ-ალაგს კითხულობს... ეს დღევანდელი მორიგე-მეხანიკოსი ნურმია. ხვალ ამის ალაგას ამის გულისათვის ჰელსინგფორსიდგან მოსულ უნივერსიტეტის სტუდენტი დაიჭერს. ნურმი იმის შესახებ ჰლაპარაკობს, რომ ბევრნი ცუდს ყოფაქცევას ატარებენ, ნამდვილი აზრი არ უღვივით გულში ღმერთის შესახებ, სახარებას ამახინჯებენ თავიანთ სასარგებლოდ. მაგრამ, როდესაც კაცი ახალს ცხოვრებას იწყობს, იგი ჭეშმარიტ სახარებას მისდევს და უბრალო მოყვასნიც-კი უყვარს. ადამიანთათვის უპირველესი სიყვარულია, რომლის შემწეობით საერთო კმაყოფილება-სიხარული მყარდება. საჭიროა ყველანი ღვთის წინაშე შეერთდნენ და მაშინ კარგად იცხოვრებენ. ნურმი სკამზედ ჯდება, თავს ძირსა ხრის და ფიქრს ეძლევა. ყველანი ასევე თავს ჩაჰკიდებენ. ბოლოს ნურმი წარმოსთქვამს: «Amen» და ამის შემდეგ ჯარის-კაცი დგება, რომელიც იქ დამსწრეთ ერთობა-ძმობისაკენ იწვევს. როდესაც იგი სიტყვას ათავებს, ნურმი წინადადებას აძლევს, 91 ფსალმუნი იგალობონ. ყველა იქ მყოფთა მშვენიერი, მწყობრი გალობა გაისმის... რამდენისამე ხნის შემდეგ პატარა ქალი განძანაკს ჩამოატარებს და დამსწრეთაგან ფულს აგროვებს; შემდეგ ავადმყოფი მუშა-მოხუცი დგება, რომელიც დაკოჟრებულ ჩაჟანგებულის ხელების ქნევით არწმუნებს ყველას, რომ ვისაც ცხოვრების გამოცვლა უნდა, პატარაობიდგანვე უნდა შეეცადოსო.

ბოლოს ნურმი მომავალ მსახურების დღესა და საათს ატყობინებს და წინადადებას აძლევს 92 ფსალმუნი იგალობონ. კიდევ მწყობრი გალობა გაისმის. ამით თავდება მსახურება და ყველანი სახლში მიდიან.

ე. მ—შვილი

ოსმალეთის დიდს ვეზირსა და გარეშე საქმეთა მინისტრს უკვე ჰქონდათ ამ საქმის შესახებ ერთმანეთში მოლაპარაკებაო. გაზეთის სიტყვით, ამ მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ ოსმალეთმა და აბაშეთმა ერთმანეთში ხელ-შეკრულობა დასდეს, რომელსაც აზრად ეგვიპტის ინგლისელებისაგან განთავისუფლება აქვს. გარდა ამისა, სულთანი თავისს სამფლობელოში აბაშეთის ეკკლესიას ისეთსავე უფლებათა ჰპირდება, როგორიც სხვა ქრისტიანე სახელმწიფოთა ეკკლესიებსა აქვთ, ხოლო მენელიკი თავისის მხრივ მაჰმადიანთა სამღვდელოების მფარველობას დაჰპირებია. ოსმალები იმდენად კარგის თვალით უყურებენ ეხლა აბაშეთის მეფეს, რომ ოფიციალურ ქაღალდებში მას „ფადი შაჰად“ იხსენიებენ.

◆

სასამართლოს მატიანე.

თავ. კ. ი. მუხრანსკისა და კერძო ვექილის პლიუშჩევსკის საქმე.

2 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში ირჩეოდა მეტად საყურადღებო საქმე ბ-ნ პლიუშჩევსკისა, რომელიც თავადს კ. ი. მუხრანბატონს ედავება 98,750 მანათს. სასამართლოში თავმჯდომარეობდა ი. კ. სავიცკი, სასამართლოს წევრებად იყვნენ კ. ვ. სპირიდონოვი და გ. ზ. წინამძღვრიშვილი. საქმის გარჩევას დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

ჩვენის გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან ამ საქმის გარემოება. ამიტომ დღეს მხოლოდ თვით საქმის გარჩევის ამბავს მოვახსენებთ მოკლედ.

ჩემ მიერ წარმოდგენილ საბუთის ქაღალდით, რომელზედაც ხელი უწერია თავადის კ. ი. მუხრან-ბატონის მამას, — სთქვა ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ, — ფორმალურად მტკიცდება, რომ ეს ფული მე ნამდვილად მერგება. მაგრამ მე არა მსურს მარტო ამ საბუთზედ დავამყარო ჩემი თხოვნა. პირობაში სწერია, რომ ეს ფული მერგება მე იმისთვის, რომ თავ. ი. მუხრან-ბატონის საქმეებს ვაწარმოებდი. ამის დასამტკიცებლად წარმომიდგენია რწმუნების ცხრა ქაღალდი, რომელთაგანაც ნათლადა სჩანს, რომ, სასამართლოში ნაწარმოებს საქმეებს გარდა, სხვა კიდევ ბევრი საქმე ჩამაბარა განსვენებულმა თავადმა. 1879 წლ. დაწყებული მე თავადის სახლების მოურავად ვიყავი, მევე მქონდა მონდობილი დამოჯნაში ბაჟის შეტანა იმ რკინისა, რომელიც განსვენებულს თავადს მოსდიოდა საზღვარ-გარეთიდგან. მევე ვაწარმოვებდი თავადის ანგარიშს სხვა-და-სხვა ბანკებში და მევე მქონდა ჩაბარებული თავადის მეუღლისა და თვით თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის საქმეები. გარდა ამისა, ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ წარადგინა კიდევ 27 საბუთის ქაღალდი იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა ვაწარმოებდი თავ. ი. მუხრან ბატონის საქმეებსაო. კიდევ სხვა 15 ბარათიც წარმოადგინა ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ იმის დასამტკიცებლად, რომ განსვენებული თავადი ხშირად მიგზავნიდა ხოლმე თავისს გლეხებს და მთხოვდა სასამართლოში დამეხმარეო.

აი ყველა ამ შრომის ფასადაო, სთქვა შემდეგ ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ, თავადს ი. მუხრან ბატონს ჩემთვის არაფერი მოუცია. მე მაშინ ახლად ვიწყობდი ვექილობას და ამიტომ ჩემთვის იმ დროს სასახელოც იყო და სასარგებლოც მთელ ტფილისში „პირველის კაცის“ ნდობა: ესეც საკმარისი იყო ჩემთვის. 1882 წელსაო, განაგრძო ისევ ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ, თავადს ი. კ. მუხრან-ბატონს ფული არ ჰქონდა. ჯერ იყო და 160,000 მანათი იზარალა; ამავე დროს დიდ-ძალი ფული დაეხარჯა სახლის აშენებაზედ და სხვ. აი სწორედ მაშინ მივმართე მე და ვსთხოვე გასამრჯელო, თავადმა მიპასუხა, ეხლა ფული არა მაქვსო, როცა მექნება, მოგცემო, და ფულის მაგიერად ეს ქაღალდი მომცა. 1882 წელს მე ისევ მივმართე თავადსა და ფული ვთხოვე. ეხლა ჩემთვის ისე გამოსადეგი აღარ იყო თავადის ნდობა. ამ დროს მე უკვე მქონდა სახლები ტფილისსა და ოდესაში, ყოველ წელიწადს მრჩებოდა 9—10 ათასი მანათი სასამართლოში საწარმოებლად აღებულ საქმეებიდგან, რადგანაც ბევრს პატივცემულს კაცს მოუნდვია ჩემთვის ამ გვარი საქმე. ამ სიტყვების დასამტკიცებლადაც ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ საბუთები წარადგინა.

ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დროს თავადს მუხრან ბატონს ფული არა ჰქონდა, ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ სთქვა, რომ 1883 წელს თავადს ფული ემართა ბ-ნის ალიხანოვისა და სარგებელს იხდიდაო (აქ ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ სასამართლოს ამის დასამტკიცებლად თავადის ბარათი წარუდგინა). აღარც სახელმწიფო და საკომერციო ბანკში შეეძლო თავადს ფულის აღება (კიდევ საბუთის ქაღალდი წარადგინა). „მართალია, განსვენებულს თავადს დიდძალი მამული ჰქონდა, მაგრამ ფული-კი არა ჰქონიაო“. აქ ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ სასამართლოსა სთხოვა, მიმიწერეთ სახელმწიფო ბანკში, რომ იქიდგან მომცენ საჭირო ქაღალდები და დაგიმტკიცებთ, რომ განსვენებულს თავადს არ შეეძლო ვალების გადახდაო. როცა-კი ფულსა ვსთხოვდი თავადს, სხვა-და-სხვა მიზეზს მეტყოდა ხოლმე ფულის მოუცემლობისას. სხვათა შორის თავადს ამ დროსვე მოლაპარაკება ჰქონდა როტშილდთან, რომლისთვისაც უნდა მიეყიდნა თავისი მამული, მაგრამ ეს საქმე არ მოხერხდაო. განსვენებულმა თავადმა მიჰმართა ფინანსთა მინისტრს ბ-ნ ვიშნეგრადსკისა და მერე ბ-ნს ვიტტეს და სთხოვა, სახელმწიფო ბანკიდგან თამასუქით 200,000 მანათი მომეცითო, მაგრამ ამაზედ უარი უთხრეს, თუმცა ბ-ნმა ვიშნეგრადსკიმ თავადის მამულები დაათვალიერა მუხრანში და სთქვა — „ეს მამული დიდი სიმდიდრე არისო“. დასასრულ ბ-მა პლიუშჩევსკიმა სთქვა, რომ განსვენებული თავადი, ვისაც კი ფულს აძლევდა, თავისის ხელითა სწერდა დავთარში და თუ მიჩვენებთ, რომ იქ ეწეროს — პლიუშჩევსკის ფული მივეციო, ამ საბუთს დიდის სიამოვნებით შევიწყნარებო.

თავადის კ. ი. მუხრან-ბატონის ვექილმა ი. ა. გუნცაძემ სთხოვა სასამართლოს, ნება მიბოძეთ, ორი რამ ვკითხო ბ-ნს პლიუშჩევსკის: 1) მის მიერ წარმოდგენილ პირობის ქაღალდში რატომ არ არის აღნიშნული, როდის არის დაწერილი იგი და 2) როდესაც ამ ქაღალდსა სწერდნენ და თავადი ი. მუხრან-ბატონიც ხელს აწერდა, დაესწრო ამას თუ არა ბ-ნი პლიუშჩევსკი?

ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ განაცხადა, რომ ამ კითხვებზედ პასუხის მიცემა არა მსურსო.

ნაფიცმა ვექილმა ი. ა. გუნცაძემ განაცხადა, რომ ბ-მა პლიუშჩევსკიმ სასამართლოს ისეთი საბუთები წარუდგინა, რომელთაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ჯერ არ გაგონილა, რომ მომჩივანს პირობის ქაღალდი ხელთა ჰქონდეს და ამდენი საბუთები წარედგინოს სასამართლოსათვის თვისის საჩივარის დასამტკიცებლად. ამით ყველა დარწმუნდება, რომ თამასუქი ნამდვილი არ არის. ეს თამასუქი ყალბია. თავადს ი. კ. მუხრან-ბატონს არასოდეს არ მოუწერია ამაზედ ხელი და პლიუშჩევსკისთვის არ მიუცია.

ბ-ნმა პლიუშჩევსკიმ თავისს მხრივ განაცხადა: ეს პირობის წერილი ნამდვილია, ჩემი საჩივარი უკან არა მსურს წავიღო და გთხოვთ, ეს საქმე გამოიძიოთო.

სასამართლომ გადასწყვიტა: მოსთხოვოს მოპასუხეს საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული პირობის ქაღალდი ყალბია. ეს საბუთები მოპასუხემ შვიდის დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს.

◆

დამაკვირდი

დაუწყებელს ხსნას უფრო ადვილად აცილებს ადამიანი თავიდგან, ვიდრე დაწყებულს შესწყვეტდეს.

მოროსი

* * *

ენა უკვდავი მაშინ შეიქმნება ხოლმე, როდესაც მოკვდება.

რივაროლი

* * *

ყველა თავისათვის ჰფიქრობს — ღმერთი ყველასათვის.

რუს. ანდაზა

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სახელოვანმა მეცნიერმა ლაპლასმა სთქვა, რომ „ყოველგვარ მეცნიერებათა შორის ვარსკვლავთ-მრიცხველობა უფრო გრძელს ჯაჭვს წარმოადგენს, ახალ გამოგონებათაგან შემდგარსო“. ამ სიტყვებით ლაპლასს ის უნდა ეთქვა, რომ ვიდრე ვარსკვლავთ-მრიცხველობა მეცნიერებად გადაიქცეოდა, საჭირო იყო მრავალი ვარსკვლავი აღმოეჩინათ, გამოეკვლიათ მათი მდებარეობა ქვეყანაში და მათი მოძრაობა. ამ გამოკვლევისათვის მეცნიერებას ეხლაც არ დაუნებებია თავი.

მეცნიერებამ მიჰმართა ფოტოგრაფიას და იმის წყალობით უფრო გაადვილდა ყოველგვარი გამოკვლევა. ვარსკვლავთ-მრიცხველებმა დაჰყვეს მთელი ზეცა ნაწილებად და თითოეულის ნაწილის სურათს იღებენ ფოტოგრაფიის შემწეობით. ამგვარად ბოლოს შესდგება მთელი სურათი ზეცისა.

ჯერ-კი დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებმა მიჰმართეს ამ საქმეს, სულ ათი წელიწადია მას აქეთ. 1887 წელს მოჰხდა საერთა-შორისო კრება ვარსკვლავთ-მრიცხველთა და მაშინ დაადგინეს ფოტოგრაფიით სურათი გადავიღოთ ზეცისაო. აქამდე უკვე მრავალი სურათი გადაუღიათ. ზოგიერთს სურათზედ მხოლოდ 10—15 ვარსკვლავი მოჩანს. მეცნიერები ზეცის ასეთს ადგილებს უდაბნოებს ეძახიან. სამაგიეროდ, ზოგიერთს სურათზედ ათას-ხუთას ვარსკვლავზედ მეტიც არის. ასე ამბობენ, რომ სულ 3 მილიონი ვარსკვლავი იქნება აღნიშნული მთელს სურათზეო.

რასა თქმა უნდა, რომ ასეთი სურათი მეტად საყურადღებო იქნება, მაგრამ მეცნიერებისა და კიდევ ზოგიერთ კაცების გარდა, ამ სურათს სხვები ვერცა ჰნახავენ და რომ ნახონ კიდეც, ბევრს ვერაფერს გაიგებენ.

სულ სხვა გახლავთ ის უზარ-მაზარი ბურთი, რომელსაც ეხლა ფრანგები აკეთებენ გამოფენისთვის და რომელიც მთელს ქვეყანას წარმოადგენს. წარმოიდგინეთ ბურთსავით მრგვალი თალი, ყველა იმ ვარსკვლავებით შემკული, რომლებიც-კი სჩანან ხოლმე ღამით პარიჟში. იმ შენობას, რომელსაც ეს თალი თავს ედგმება, გაანათებენ მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ამ პაწია მნათობთა სინათლე ელექტრონისა იქნება. შენობის შუაგულში მოთავსებული იქნება საკმაოდ მოზრდილი ბურთი, რომელიც დედა-მიწას წარმოადგენს.

ეს ბურთი ისე ტრიალებს, როგორც დედამიწა დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ, მხოლოდ გაცილებით უფრო სწრაფად. ბურთს ზედ მიმაგრებული ექნება დიდი სკამი, ზედ დაჯდება კაცი და ბურთი ტრიალს დაიწყებს. კაცი ნათლად დაინახავს როგორ ამოდის აღმოსავლეთიდგან მზე და მთვარე, როგორ გაივლის ზეცის მთელს სივრცეს და როგორ ჩაესვენება დასავლეთისაკენ. გამოჩნდება მთვარე, დაიწყებს ტრიალსა და ამავე დროს გარს შემოუვლის დედამიწას. მთვარე განათებული იქნება მზის შუქით, ჯერ გამოჩნდება ახალი მთვარე, მერე თან-და-თან გაიზდება, დასრულდება და ბოლოს ისევ მიიწურება. როდესაც მთვარე მზისა და დედამიწის შორის ჩადგება, მზე დაბნელდება, ხოლო როცა დედამიწა ჩადგება მთვარესა და მზის შუა, მაშინ მთვარე დაბნელდება. მზის ჩასვლის შემდეგ ვარსკვლავები გაკაშკაშებული იქნება. ეს საუცხოვო სურათი დედამიწისა და ცის მნათობთა ტრიალისა, ისეთის სინამდვილით იქნება წარმოდგენილი, რომ ვისაც სრულებით არაფერი გაუგონია ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, ისიც-კი ნათლად წარმოიდგენს, როგორა ტრიალებს და მოძრაობს მზე, მთვარე, დედამიწა, მთელი ქვეყანა.

ამავე გამოფენაზედ იქნება დიდი დურბინდი, სიგრძით 28 საჟენი. ზოგიერთ გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ ეს დურბინდი მთვარეს ერთის ადლის სიშორეზედ დაანახვებს კაცსაო. ეს მართალი არ არის. ამგვარი დურბინდი ჯერ ადამიანს არ გამოუგონია და საეჭვოც არის, რომ გამოიგონოს ვინმემ. მაგრამ ეს დურბინდი მაინც დიდად არის საყურადღებო. ამ დურბინდის შემწეობით ჯერ მთვარის სურათს გადიღებენ, მერე სურათს ძლიერ გაადიდებენ და ამავე დურბინდით უჩვენებენ ხალხსა. ამგვარად ადამიანს ისე ეგონება, რომ სულ ერთის ადლის სიშორეზედ ვხედავ მთვარესაო.

მეცნიერებს მაინც იმედი აქვთ, რომ ეს დურბინდი დიდად დაეხმარება მათ და მისის შემწეობით ადრე თუ მალე გაიგებენ არის მთვარეზედ ჰაერი თუ არა. ჯერ-ჯერობით-კი ეს საეჭვოდ მიაჩნიათ.

მოგეხსენებათ, რომ მთვარე სხვა მნათობებთა და ვარსკვლავთა შედარებით უფრო ახლოა დედამიწაზედ, მაგრამ ჯერ მაინც სრულიად არ არის გამოკვლეული ამ მნათობის ბუნება. ჯერ ისევ სახელოვანი მეცნიერი ჰუმბოლდტი ამტკიცებდა, რომ მთვარის ბუნება ძლიერ წააგავს დედამიწისასაო. ეხლა ვიკითხოთ, მაშ რატომ არ არის მთვარეზედაც წყალი და ისე არა სდუღს სიცოცხლე, როგორც დედა-მიწაზედ.

ასეა თუ ისე, დედამიწასაც ის ბედი მოელის, რომელიც მთვარესა ჰხვდა წილად. ადრე თუ მალე დედამიწაზედაც გამოილევა წყალი. წყალი ჩადის დედამიწის გულში და იკარგება ზღვასა და ოკეანეს თან-და-თან აკლდება წყალი. დედამიწის ჰაერი თან-და-თან თხელდება და როცა იქნება, სრულიადაც გაქრება და მოისპობა. მაშინ დედამიწის ზურგზედ ყოველგვარ სიცოცხლეს ბოლო მოეღება.

◆

ახალი წიგნები

გუშინ დაურიგდა მკითხველებს აკაკის ახალის ჟურნალის „კრებული“-ს მეორე ნომერი. ეს ნომერი საკმაოდ მოზრდილია და შიგ მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი აკაკისა: „თ. ნ. დიასამიძის სახსოვრად“, ლექსი; „უბრალო საუბარი“ (კრებულის ფოსტა), „მოხუცი და ახალგაზდა“, ლექსი; „მედია“, დრამა; „შენიშვნები“, „ქუთათლის სიზმარი“ (ისტორიული ოცნება), „სიკვდილი“, მოთხრობა, და „სულიკო“, ლექსი. მესამე განყოფილებაში მოთავსებულია ზ. ჭიჭინაძის ეთნოგრაფიული და ისტორიული წერილი „შავშეთი“.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ოქტომბერი.

ვლადივოსტოკი. დიდის ამბით ჩაჰყარეს საძირკველი ვლადივოსტოკის საკომერციო ნავთ-სადგურისა, ამურის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანადასწრებით.

ვაშინგტონი. ვენესუელას საქმის შესახებ მედიატორები უკვე ამორჩეულნი არიან. უფროსს მედიატორედ არჩეულ იქმნა პროფესორი მარტენსი.

ვენა. დეპუტატთა პალატა შეუდგა კამათობას შესახებ იმისა, რომ სამართალში იქმნას მიცემული თუ არა მინისტრ-პრეზიდენტი. კრება მეტად აღელვებული იყო.

◆

განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . -	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . .	„	15
ამირან-დარეჯანიანი .	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . ,	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . .	„	60
გედები საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . .	„	25

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Октября 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.